გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2017-2018 საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე ბოლნისის მუნიციპალიტეტის განაცხადი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**
   ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა

2. **თემატიკა:**
   სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვა

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**
   ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი - დავით შერაზადიშვილი

4. **პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:**

   2017 წლამდე ბოლნისის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების მიმართულებებით ღონისძიებები ხორციელდებოდა კომპლექსური სახელმძღვანელო დოკუმენტის გარეშე, სადაც განსაზღვრული იქნებოდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხედვა, მიზნები და სამოქმედო გეგმა. შედეგად მუნიციპალიტეტის საქმიანობა ნაკლებად ეფექტური იყო. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობის გარეშე მუშავდებოდა.

   2017 წლიდან ბოლნისის მუნიციპალიტეტი ნებაყოფლობით შეუერთდა ევროკავშირის ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG), რომლის ფარგლებშიც ბოლნისის მუნიციპალიტეტმა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მოამზადა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა (LEDP).

5. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**

   ბოლნისის მუნიციპალიტეტი ქვემო ქართლში, საქართველოს სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში, ზღვის დონიდან 560 მ-ზე მდებარეობს. მუნიციპალიტეტის ცენტრი – ქალაქი ბოლნისი, დედაქალაქის მილიონიანი ბაზრიდან დაშორებულია 66 კმ-ით. მუნიციპალიტეტის ფართობია 804 კმ². მუნიციპალიტეტში შედის ერთი ქალაქი, ორი დაბა და 45 სოფელი. 2014 წლის აღწერის მონაცემებით, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა 53590-ს შეადგენს, საიდანაც 50.02%-ს მამაკაცები, ხოლო 49,98%-ს ქალები შეადგენენ. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ცხოვრობს სოფლად (74%). ბოლნისის მოსახლეობა მრავალეთნიკურია: ქართველებთან ერთად (31%), აქ ცხოვრობს აზერბაიჯანელების (63%) დიდი თემი. მოსახლეობის დანარჩენ 6%-ს წარმოადგენენ

სომხები, რუსები, ბერძენი და ოსები. მუნიციპალიტეტში შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი 63%-ია.

ბოლნისი არის საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური პოტენციალის მქონე მუნიციპალიტეტი, რომელიც გამოირჩევა სასოფლო-სამეურნეო და სამთო-მოპოვებითი პროდუქციის წარმოების ბუნებრივი პირობებით, ისტორიული ძეგლებით და მრავალეთნიკური კულტურითა და ტრადიციებით.

6. მუნიციპალიტეტის მახასითებლები:

შიდა ფაქტორები - პროექტში „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ბოლნისის მუნიციპალიტეტი ჩართო ნებაყოფლობით, მუნიციპალიტეტის მერის და საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე. გეგმის შემუშავების პროცესში მერიის თანამშრომელთა და საკრებულოს წევრების აქტიური ჩართულობით დაგეგმვის პროცესი ეფექტურად განხორციელდა.

გარე ფაქტორები - აღსანიშნავია „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ სამდივნოს მხარდაჭერა, მოსახლეობის აქტიურობა და ჩართულობა გეგმის მომზადების ყველა სტადიაში, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა გეგმის მომზადება.

7.განხორციელებული პრაქტიკის/ინიციატივის დეტალური აღწერა:

- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი:**

N	აქტივობები	წელი					
		2017	2018				
		დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
1	**ადგილობრივი ეკონომიკის სტრუქტურის და თემატური ბლოკების[1] ანალიზი**						
1.1	პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ თემატური ბლოკების ანალიზისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება, გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებთან ინდივიდუალური შეხვედებით და გასაუბრებით.						
1.2	ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ მიზნების გაცნობა და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად სოფლის მეურნეობის დარგის ანალიზი.						

[1] ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ თემატური ბლოკები: ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელი; ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია; მიწა და ინფრასტრუქტურა; ფინანსებზე წვდომა; საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო; უნარები, ადამიანური კაპიტალი და ინკლუზიურობა; გარე პოზიციონირება და მარკეტინგი.

1.3	• „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ პროექტისა და მისი თითოეული თემატური ბლოკის გაცნობა და ანალიზი; • ადგილობრივი ეკონომიკის სტატისტიკური მაჩვენებლების მიმოხილვა; • ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის მოსამზადებელი ჯგუფისთვის არასამთავრობო სექტორიდან ერთი წარმომადგენლის არჩევა.						
1.4	ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შესამუშავებლად, პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ სამდივნოს მიერ მოწოდებული მეთოდოლოგიის განხილვა და მის მიხედვით სამომავლო სამუშაოების დაგეგმვა;						
1.5	ადგილობრივი მეწარმეებისთვის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ პროექტისა და მისი თითოეული თემატური ბლოკის გაცნობა და ანალიზი;						
1.6	პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ თემატური ბლოკის (უნარები და ადამიანური კაპიტალის ინკლუზიურობა) ანალიზისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება სიღრმისეული ინტერვიუს მეშვეობით;						
1.7	პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ მიზნების გაცნობა და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ანალიზი;						
1.8	პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ მიზნების გაცნობა და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად მეღვინეობა/მევენახეობის დარგში არსებული სიტუაციის გაანალიზება;						
1.9	ადგილობრივი სამშენებლო კომპანიებისთვის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ პროექტისა და მისი თითოეული თემატური ბლოკის გაცნობა და ანალიზი;						
1.10	პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის თემატური ბლოკის ფარგლებში ბანკების მიერ წარმოდგენილი სასესხო პროდუქტების განხილვა, ყველაზე მოთხოვნადი სესხებისა და მეწარმეების მიერ სესხის მიღებისას ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა;						
1.11	პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად ჩატარებული შეხვედრებისა და მოძიებული ინფორმაციის შეჯამება;						
1.12	პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად ადგილობრივი ეკონომიკის სტრუქტურისა და თემატური ბლოკების ანალიზის შედეგების შეჯამება;						
1.13	პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ თემატური ბლოკების სრულყოფილი ანალიზისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება ოფიციალურად გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის მეშვეობით.						

2	**SWOT ანალიზის შედეგების მიხედვით ხედვისა და სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა**						
2.1	პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ მიზნების, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებისა და კომპანია „RMG“-ის მიერ დაგეგმილი სამომავლო აქტივობების გაცნობა;						
2.2	დაინტერესებულ მხარეებთან ერთად LED გეგმისთვის SWOT ანალიზზე, ხედვის განაცხადზე, სტრატეგიულ და კონკრეტულ მიზნებზე მსჯელობა და მათი შემუშავება;						
2.3	მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებთან ერთად პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში ადგილობრივი ეკონომიკის SWOT ანალიზის გაკეთება, განვითარების ხედვისა და სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა;						
2.4	პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ხედვის განსაზღვრა;						
2.5	პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში ადგილობრივი ეკონომიკის SWOT ანალიზის შედეგად შემუშავებული ხედვის ფარგლებში სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა;						
3.	**სამოქმედო გეგმის შედგენა**						
3.1	პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ხედვის, სტრატეგიული და კონკრეტული მიზნების განსაზღვრა;						
3.2	პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად, მეწარმეთა განვითარების პერსპექტივების განხილვა;						
3.3	პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის განხილვა და შენიშვნების შეტანა.						

- **განხორციელებისათვის მიღებული და გაფორმებული გადაწყვეტილებების ჩამონათვალი:**
    - ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ივნისის N14 განკარგულება;
    - ევროკავშირის პროგრამის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ წევრობის ფორმა;
    - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 29 დეკემბრის N800 ბრძანება ევროკავშირის პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების ჩართულობის შესახებ:**

2017 წლის 29 დეკემბერს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, LED გეგმის მოსამზადებლად, შეიქმნა 4 კაციანი სამუშაო ჯგუფი, რომელიც კერძო

სექტორის, სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტდა. გეგმის მოსამზადების ყველა ეტაპზე აქტიურად იყვნენ ჩართულები ადგილობრივი მეწარმეები (იურიდიული და ფიზიკური პირები) და არასამთავობო ორგანიზაციები.

- **ინფორმაცია გამოყენებული რესურსის შესახებ:**

  გეგმის მომზადების პროცესში მთავარი რესურსი იყო მერიის ეკონომიკის სამსახურის პროექტების მართვის განყოფილების და სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლების ადამიანური კაპიტალი. სამუშაო შეხვედრები გამართვისას გამოიყენებოდა მერიის საკონფერენციო დარბაზები, რომელიც უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.

- **განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა:**

  დაგეგმვის საწყის ეტაპზე შეიმჩნეოდა მეწარმეების და სამოქალაქო საზოგადოების პასიურობა. თუმცა დროთა განმავლობაში პროექტის მნიშვნელობასა და დაგეგმვის საჭიროებაზე მოქალაქეებისთვის ინფორმაცის მიწოდების შემდეგ, ისინი უფრო მეტად გააქტიურდნენ და სამუშაო შეხვედრებზე ცალკეულ საკითხებზე მსჯელობისას მათი ჩართულობა გაიზარდა.

- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე:**

  ბოლნისის მუნიციპალიტეტის მთავარი პარტნიორი იყო ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრისთვის“ სამდივო, რომლის თანამშრომლებთან კონსულტაციებითა და ტრენინგების საშუალებით ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების დაგეგმვა წარმატებით განხორციელდა.

8.მიღწეული შედეგი:

გეგმის მომზადება რამდენიმე ეტაპად წარიმართა. საწყის ეტაპზე განხორციელდა ადგილობრივი ეკონომიკის სტრუქტურის ანალიზი, რომელმაც ასახა საწარმოებისა და მოსახლეობის ფაქტობრივი მდგომარეობა. გაანალიზდა სიტუაცია აგრეთვე „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ სახელმძღვანელოს თემატური ბლოკების მიხედვით. SWOT ანალიზის მეშვეობით განისაზღვრა მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. შემდეგ ეტაპზე შემუშავდა ხედვა, სტრატეგიული მიზნები და 2-წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც 13 აქტივობისგან შედგება. სამოქმედო გეგმა ორიენტირებულია აგრობიზნესის, ტურიზმის, მცირე და საშუალო ბიზნესების ხელშეწყობაზე. აქცენტი გაკეთდა, ბიზნეს საქმიანობებში ისეთ სოციალური ჯგუფების გააქტიურებაზე, როგორიცაა ქალები, ახალგაზრდები და

ეთნიკური უმცირესობები. გეგმაზე მუშაობის დასრულების შემდეგ იგი გაეგზავნა მსოფლიო ბანკს, რომლის შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, ბოლნისის მუნიციპალიტეტმა შესაძლოა მოიპოვოს დაფინანსება სამომქედო გეგმაში გაწერილი რამდენიმე ღონისძიების დასაფინანსებლად.

9.მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის სტრატეგიული გეგმების შედგენისას ჩართული იყოს მოსახლეობა და მათი ინიციატივები იქნეს გათვალისწინებული, რადგან გეგმის განხორციელებით მიღწეული შედეგები სწორედ მათზე ახდენს გავლენას.

ბოლნისის მუნიციპალიტეტმა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის ზემოთგანხილული ფორმატით სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად მომზადებით შექმნა დაგეგმვის წარმატებული მოდელი, რომელსაც მომავალში მსგავსი დოკუმენტების შედგენაში გამოიყენებს. ამასთან, გაუმჯობესდა საჯარო მოხელეთა შესაძლებლობები ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების დაგეგმვაში.

10. საკრებულოს როლი:

- **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში:**

  ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო აქტიურად იყო ჩართული გეგმის მომზადების პროცესში. 2017 წლის 7 ივნისის N14 განკარგულებით, ბოლნისის მუნიციპალიტეტი გაწევრიანდა ევროკავშირის ინიციატივაში „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“.

  საკრებულოს წევრები, განსაკუთრებით ეკონომიკურ საკითხთა კომისიის წევრები აქტიურად იყვნენ ჩართულნი გეგმის მომზადების ყველა ეტაპზე სხვადასხვა ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრებში. საკრებულოს წევრების ინიციატივები სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ გაზიარულ იქნა და აისახა გეგმაში.

- **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისთვის პროექტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში:**

  ვინაიდან წარმოდგენილი საკონკურსო თემატიკიდან ბოლნისის მუნიციპალიტეტს თითოეულში საკმაოდ წარმატებული საქმიანობის გამოცდილება აქვს, საკრებულოს წევრებმა ინიციატივა საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში მონაწილეობის შესახებ მოიწონეს და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დადეგმვის თემატიკა შეარჩიეს.

- **როგორი იყო საკრებულში არსებული ფრაქციების დამოკიდებულება ამ საუკეთესო პრაქტიკის მიმართ:**

საკრებულოს ფრაქციები დადებითად აფასებენ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესს და მთლიანად გეგმას, რომლის საშუალებითაც ბოლნისის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობა აქვს ადგილობრივ ეკონომიკაში მოახდინოს პოზიტიური ცვლილებები.

11. პრაქტიკის/ინიციატივასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა:

ბოლნისის მუნიციპალიტეტი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისას გამოყენებულ მიდგომას მომავალში არა მხოლოდ ეკონომიკური მიმართულებით, არამედ სხვა სფეროების განვითარების დაგეგმვაშიც გამოიყენებს.

12. საკონტაქტო ინფორმაცია:

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის პროექტების მართვის განყოფილების უფროსი - მერი აბრამიშვილი;
ტელ: (+995) 591 40 00 38;
E-mail: Meri.abramishvili@gmail.com.

13. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია:

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა.